წელიწადი მე-2 | ტელეფონი № 76. | შაბათი 18 ივნისი

# სამშობლო

№383

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ, გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნინო წერეთლისა დადეშქელიანის ასული,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმათ დამწუხრებულნი ქირისუფალნი: და კნ. მარიამი და სიძე ჯვებე დადიანი, რძლები: კნ. ელენე დადეშქელიანისა შარვაშიძის ასული, კნეინა ელისაბედ დადეშქელიანისა ანჩაბაძის ასული; დისწულები: კნეინა მარიამ წულუკიძისა ნიჟარაძის ასული, ფედოსია ქუთათელაძისა წულუკიძის ასული, აგრაფინა იასონის ასული წულუკიძისა, მიხეილ ერმალოზის ძე ნიჟარაძე, კოწია, სანდრო და ანდრო თავადი იასონის ძენი თავადი წულუკიძეები; სიძეები: თავ. გიგო სიმონის ძე წულუკიძე და ილიკო მოსეს ძე ქუთათელაძე.

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან პოლიციის ქუჩა, კვირას, 19 ივნისს, დილის 9 საათზე, დაკრძალვა არქიელის გორაზე წმინდა გიორგის ეკლესიაში 4—4

საზოგადოება „სინათლის" გამგეობა აუწყებს რა საზოგადოებას

ნინო კონსტანტინე დადეშქელიანის ასულის კნეინა წერეთლის

გადაცვალებას, სთხოვს მას დაესწროს პანაშვიდს,

რომელიც დანიშნულია გამგეობის მიერ, მთავარანგელოზის ეკლესიაში

შაბათს, 18 ივნისს, დღის თორმეტ საათზე. 2—2

16 ივნისს, დილით, უეცრათ გარდაიცვალა

დავით ივანეს ძე ჩოჩიავა,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე გარდაცვალებულისა პასიკო დავითის ასული; შვილები: მარიამ ივანოვისა შვილებითურთ, ელენე, იაგორა და ვანო ჩოჩიავები.

პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან (თბილისის ქუჩა, ობორინის შესახვევში) კვირას, 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე.

ვენახის საწამლათ

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, ოიდიუმიდან დასხვადასხვა მავნე მწერისაგან, ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განავლობაში და ნაყოფიც დიდია. წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „ტრინდენისა". იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოჟგურული" ქუთაისი, კახიანოური თვ.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 16 ივნისიდან ახალი პროგრამა.

ჩვენს მოკავშირეთა სამხედრო ქარხნებში.

ბუნებრივი.

საყვირის ხმაზე

ძლიერი დრამა მუშათა ცხოვრებიდან 3 ნაწილად.

მაშო კარგია, მაგრამ სხვისია.

კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი**, მიმდინარე ამბები

ველურთა ხელში ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**სალომეს ბოლო.** კომიკური.

„რადიუმი" აცხადებს, რომ **ა. კუპრინის** ცნობილი სურათი **„გარუჯნილების მორევი"**, რადგან დიდ ყურადღებას იქცევს, ამიტომ თბილისში დააკავეს განმეორებით საჩვენებლათ. რის გამოც მისი ჩვენება ქუთაისში გამოცხადებულ დროზე ვერ მოხერხდა. სურათის ჩვენებას დრო ცალკე გამოცხადდება.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 16ივნი სიდან ახალი პროგრამა.

მოჩვენება

თანამედროვე დრამა 4 ნაწილად მონაწილეობას ღებულობენ: ვ. ა. პოლონსკისა, გრამოვისა და სხვ სცენარი ე. ტისოვისა.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება:

**პატე ჟურნალი.** მიმდინარე ამბები.

ჰეი, რაშებო, გასწიეთ მარდათ. ძლიერი დრამა 4 ნაწილ. მოსკოვის ყოფილ მილიონერის ცხოვრებიდან და ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე შედგენილი. მონაწილეობენ ცნობილი მსახიობნი: ბაკშეევი და აგათა ბერლენი.

ნადირობაც ამასა ჰქვიან.

კომიკური.

ადგილების ფასი **„ამპირსა"** და **„რადიუმში"**; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. **„სამშობლოს"** რედაქც.

ექიმი **ა. მ. ასათიანი**, რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლებ[ზე] ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$ საათ. სად. 6—8 საათ.

**მისამართი:** ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. საათ. -3 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ბებია **მ. მ. ქოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 16 ივნისი. გუშინ, 15 ივნისს, საარტილერიო მომზადების შემდეგ, გენერალ ლეჩიცკის ჯარი, მიუხედავად მტრის დიდი წინაღმდეგობისა, ეკვეთა მას და დნესტრისა და პრუტის შუა მდებარე სანგრების 3 წყება წაართვა. მდ. ჩერტოვცზე (დნესტრის ტოტი) და მდ. ჩერნიავაზე (პრუტის ტოტი) და აგრეთვე ქალაქ კუტთან ძლიერი ბრძოლები მოხდა. დიდი ზარალი მივაყენეთ მტერს აქ ყველა რიგის იარაღის მწყობრი მოქმედებით. გუშინ შვიდ საათამდის ტყვეთ წამოვიყვანეთ 221 აფიცერი და 10,285 ჯარისკაცი; მრავალი ტყვის მფრქვეველი წამოვიღეთ. ერთმა ნაწრთობმა პოლკმა ხელში ჩაიგდო მძიმე ოთხ ზარბაზნიანი ბატარეია სასროლათ გამზადებული. ამნაირად, 22 მაისიდან დღემდე ტყვეთ წამოყვანილია აფიცრებიანათ 205,000 კაცი. გალიციისა და ბუკოვინის დანარჩენ ბრძოლის პირზე ბევრ ალაგას საარტილერიო სროლაა

ვოლინში სოფ. ლინევკასთან (სტოხოდზე) მძლავრი ბრძოლები კვლავ სწარმოებს. მდ. დვინის ხაზზე მტრის არტილერია უშენდა იქსკიულის გამაგრებულ ხიდის საფარს. მტრის არტილერია მოქმედებდა აგრეთვე იაკობშტადტისა და ლიბენჰოფის მიდამოებში კრევოს ჩრდილოეთ აღმოსავლეთით. 15 ივნისს, გათენებისას, მტერმა სოფ საკოვიჩეს და ბოგუშინის ტყის მიდამოებში ზარბაზნები დაუშინა ჩვენს სანგრებს და შემდეგ შემოგვიტია, მაგრამ თოფის სროლით მოვიგერიეთ.

პულკარნთან (რიგის პოზიციების ხაზზე) ციმბირელთა როტამ ძლიერ გაითქვა სახელი. მტრის ზარბაზნებმა და ყუმბარების მტყორცნელებმა ამ როტის სანგრები და მავთულის ხლართები გაანადგურა გადარჩენილებმა პრაპორშჩიკ ობერტინსკის უფროსობით არ დასტოვეს თავის ადგილები და ხიშტებით იგერიებდენ მტერს მაშველი ჯარის მოსვლამდის. ამ ბრძოლაში ციმბირელმა როტამ დაჰკარგა ორი აფიცერი და ნახევარი ჯარის კაცებისა. როტის პრაპორშჩიკი ბოლოდოვნიკოვი დაიჭრა, ბრძოლის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ივანოვ-მუჟეევი, მიუხედავად ჭრილობისა, ბრძოლის ველზე დარჩა.

კავკასიის ასპარეზი.

ერძინჯანის მიმართულებით ოსმალნი წინ წამოსვლას ლამობდენ, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ბაღდადის მიმართულებით შუა დღიდან ოსმალებმა ძლიერი ძალებით შემოგვიტიეს, მაგრამ არტილერიის ცეცხლით მოვიგერიეთ.

**პარიზი.** 15 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. შამპანში დიდი საარტილერიო მომზადების შემდეგ ტაგურის გაწეულ ადგილთან გერმანელები შეიჭრნენ ფრანგთა რამდენსამე სადარაჯოში, მაგრამ კონტრიერიშით უკუქცეულ იქნენ. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა სხვილი ყალიბის ზარბაზნები დაუშინეს ავოკურ-შატანკურის ხაზს. 304 ის სიმაღლის აღმოსავლეთით გერმანელები საიერიშოთ ემზადებოდენ, ფრანგებმა დროზე შეამჩნიეს და არტილერიის სროლით შეაწყვეტინეს მუშაობა. 321 სიმაღლის და ტიომონის სიმაგრის ჩრდილოეთით ფრანგებმა ოდნავ წინ წაიწიეს ხელის ყუმბარების ბრძოლით.

**ჰავრი.** 15 ივნისი. ბელგეთის ოფიციალური ცნობა. მთელ ბელგეთის ბრძოლის პირზე სიწყნარეა.

**რომი.** 15 ივნისი. იტალიის მთავარი ბინის ცნობა. ადეჯე-ბრენტოს ბრძოლის პირზე ავსტრიელებმა ძლიერ სიმაგრეებზე დაიხიეს და უფრო მედგარ წინააღმდეგობას უწევენ იტალიელებს. გუშინდელი დღის განმავლობაში იტალიელებმა საგრძნობლად წაიწიეს წინ. ლაგარინო ვალდერსოს ღელეში მძაფრი საარტილერიო ბრძოლა მოხდა; იტალიელებმა ტრაპოლის მთებს დაუშინეს; ტეტის მთაზე მოწინააღმდეგის სანგრები დაიპყრეს. პოზინოსა და ასტიკოს შუა რაიმონდეს მთაზე იტალიელებმა ავსტრიელთა პოზიციები დაიპყრეს. ფუზილის მთისა და აზიაგოს ჩრდილოეთით ასსას ღელეში იტალიელებმა მთის კალთა დაიპყრეს და მიაღწიეს რასტა ინტერეტო-მუზელაგის მთების კალთებს, რასაც ავსტრიელთა არიერგარდები (უკან მავალი ჯარი) მედგრად იცავენ. ჩრდილოეთით კოლომბორის მთის პოზიციები დაიპყრეს იტალიელებმა და გალმარის ღელეს მიაღწიეს. დანარჩენ ბრძოლის პირზე ბრენტომდის მდგომარეობა უცვლელია. ზემო ბუტოზე ფეი კოფელის მიდამოებში ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ იტალიელებმა იერიში მიიტანეს ავსტრიელებზე და რამდენიმე სიმაგრე წაართვეს. მდ. იზონცოზე არტილერია მოქმედებდა, იტალიელები რამდენჯერმე დაეცნენ ავსტრიელებს და დაატყვევეს 7 აფიცერი და 153 ჯარისკაცი, წაართვეს ტყვიისმფრქვეველი.

**სტოკჰოლმი.** 15 ივნისი, ბერლინში გამოუქვეყნებიათ ლიბკნეხტის საქმის შესახებ დადგენილება მას მიუსაჯეს ორი წლის საკატორღო ციხე და ჯარიდან გამორიცხვა. ლიბკნეხტს ბრალდებოდა სახელმწიფოს მოღალატეობა, და ურჩობის გაწევა გაჭირვების დროს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

შეთანხმების სახელმწიფოებმა საბერძნეთის დატყვევებული გემები გაანთავისუფლეს.

---

ნიკოლაევის სანაპიროებთან ზღვამ რამდენიმე კაცის გვამი გამორიყა. როგორც იუწყებიან, გამორიყულები ამას წინად დაღუპულ გემ „მერკურზე" მყოფნი ექსკურსანტები არიან.

---

9 ივნისს რუსეთის ფლოტი ოსმალეთის სანაპიროებს მიუახლოვდა და ყუმბარები დაუშინა. 10 ივნისს ამავე ფლოტმა ანატოლიის პირდაპირ ქვანახშირით დატვირთული ოსმალეთის დიდი გემი ჩასძირა.

---

არაბეთის შერიფების აჯანყება თანდათან ფართო ხასიათს იღებს მოსალოდნელია აჯანყება მთელს არაბეთს მოედვას.

---

აჯანყებული მექსიკელები ამერიკის ვაჭრებს თავს ესხმიან და ხოცვენ. კარანცაში მექსიკელებს ამერიკის საკონსულოს შენობა დაუნგრევიათ.

---

ინგლისში დუბლინის მეამბოხეთა საქმის გარჩევას შეუდგენ. ასამართლებენ 120-მდე დუბლინელს. მათ დამცველებად საუკეთესო ვექილები არიან გამოწვეული.

---

ფრანგებს ვერდენის მდგომარეობა სანუგეშოდ მიაჩნიათ. ვერდენის მთავარი დამცველი გენერალი პეტენი აცხადებს, აწ სრული იმედი მაქვს, რომ ვერდენს მტრები ვერაფერს დააკლებენო.

---

ახლო მომავალში პეტროგრადში მოხდება საზღვაო სამხედრო სამინისტროს სხდომა და სამხედრო ბიუჯეტის განხილვა.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი** ბუკოვინაში გენ. ლეჩიცკის ჯარმა კვლავ შეუტია ავსტრიელებს და სამი წყება სანგრები დაიპყრო. მკაცრი ბრძოლები მოხდა დნესტრსა ® პრუტს შუა, სადაც რუსებმა ერთი დღის განმავლობაში დაატყვევეს 221 აფიცერი 10285 ჯარის კაცი. დავლათ დარჩათ რუსებს ბევრი ტყვიისმფრქვეელი და ერთი ბატარეია მძიმე ზარბაზნებისა. დაბა კრევოს მიდამოებში გერმანელები იერიშით წამოვიდენ. მდ. დვინის ხაზზე გერმანელები რუსების პოზიციებს ყუმბარებს უშენენ.

**კავკასიის ასპარეზი** ეძირჯანის მიმართულებით ოსმალები წინ წამოსვლას შეეცადენ. ბაღდადის მიმართულებით კერინდასთან შუა დღის შემდეგ ოსმალები დიდი ძალებით წინ წამოვიდენ, მაგრამ რუსებმა არტილერიის სროლით შეაჩერეს.

**დასავლეთის ასპარეზი** ბელგიის ჯარის ბრძოლის ხაზზე სიწყნარეა. შამპანში გერმანელებმა იერიშის შემდეგ რამდენიმე საღარაჯო აიღეს, მაგრამ ფრანგებმა უკუაქციეს. ვერდენთან გერმანელები ავოკურ—შატანკურის ხაზს მძიმე ზარბაზნებს უშენენ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა ოდნავ წინ წაიწიეს.

**იტალიის ასპარეზი** აქა იქ ძლიერი ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

ამ სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი ილაპარაკებს მოკავშირეთა პოლიტიკაზე ახლო აღმოსავლეთში.

— —

ნეიტრალურ სახელმწიფოთა პრესა იუწყება: გერმანიამ რუსეთის ასპარეზზე დიდძალი მზვერავები გადმოიყვანაო.

— —

გალიციის ასპარეზზე შეუნიშნავთ ავსტრიის მე-5 და მე-7 კორპუსები, რომელნიც წინად იტალიის ასპარეზზე იბრძოდენ.

— —

ნიუიორკში ამ მოკლე ხანში უნდა მივიდეს გერმანიის წყალქვეშა გემი, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილსონს იმპერატორ ვილჰელმის წერილს გადასცემს.

— —

ბუკოვინიდან უნგრეთს ურიცხვი გამოქცეული მიდის.

— —

„პრავიტ. ვესტნ." სწერს: მართალია, გალიციის ხაზით ჩვენი წინსვლა შეჩერდა, მაგრამ სამაგიეროდ ბუკოვინაში, და ვოლინის ხაზით, ჩვენი შეტევა ვითარდებაო. „პრავიტ. ვესტნ." სიტყვით, აქ ბრძოლის ფრონტის სივრცე 500 ვერსის მანძილზეა გაჭიმული.

— —

ბულგარეთის მთავარი სამხედრო შტაბის უფროსს უთქვამს: ბალკანეთზე გადამწყვეტი ბრძოლა მაშინ მოხდება, როდესაც გალიციისა და რიგა-დვინის ასპარეზებზე საქმე დასრულდებაო.

— —

არაბეთის აჯანყებას ბერლინის პრესა გულდამშვიდებით მიეგება. „ბერლინერ ტაგებლატი" სწერს: ასეთი ამბები აწი უფრო ბევრი იქნება მღელვარე აღმოსავლეთშიო.

— —

ლორდთა პალატამ არ შეიწყნარა დუბლინელ ნაციონალისტების თხოვნა, რომ სასამართლოს „დუბლინის" მეამბოხეთა საქმის გარჩევა ომის დასრულებამდე გადაედვა.

— —

სტამბოლის საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა არაბეთში ნამსახურს ღენერალ მიქრიფაშას, რომელმაც აჯანყებულ არაბებთან ვერაფერი გააწყო

— —

„ბირჟ. ვედ." სწერს: აღმოსავლეთის ასპარეზზე ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ დღითიდღე ძლიერდება და ვითარდება; რაც შეეხება გალიციას, აქ მტერმა სასტიკი წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო, თუმცა ჯერ ჩვენთვის არსებითი ზიანი არ მიუყენებიათ.

— —

ჩეხიაში აჯანყებას მოელიან. ვენის მთავრობამ ჩეხიაში ჯარები გააძლიერა.

— —

საბერძნეთის მეფემ პარლამენტის დათხოვნის დეკრეტი გამოსცა ზაიმისმა შეთანხმების სახელმწიფოები დაარწმუნა, რომ ყოველივე თქვენი მოთხოვნილება მიღებულია და განხორციელდებაო.

— —

ლონდონის ქვედა პალატაში დაუდგენიათ ინგლის-საფრანგეთის შორის (ზღვეთით) გვირაბი მოაწყონ

— —

სამფეროპოლში 11 ივნისს მცურავი ნაღმი შეუმჩნევიათ

— —

კოველის ახლო მიდამოები გერმანელებს ჯავშნიანი სიმაგრეებით აუვსიათ, აქვე გადაუყვანიათ ვერდენის მებრძოლი ჯარის ნაწილი ® თან მძიმე ზარბაზნები გადმოუზიდავთ.

— —

„მატენი" სწერს: ირლანდიის საკითხის გამო ინგლისში სამინისტრო კრიზისია მოსალოდნელიო.

— —

მაკედონიის ფრონტზე ძლიერ გახშირდა საჰაერო ბრძოლა, 5 ივნისს ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს სალონიკზე და დაანგრიეს ბაზრის შენობები

— —

ლონდონიდან იუწყებიან: ირლანდიის ნაპირებთან დიდი მცურავი ხიდი ჩაიძირაო.

— —

იაპონიის პარლამენტარიები რუსეთს გაემგზავრენ

— —

ბულგარეთის გენერალურ შტაბში იმპერატორ ვილჰელმს 15 გერმანელი ოფიცერი გამოუგზავნია. ამ ოფიცრებმა უნდა შეიმუშაონ მცირე აზიაში სამოქმედო გეგმა და აგრეთვე ინსტრუქტორობა გაუწიონ ოსმალოს ჯარს.

— —

ჩინეთის დროებითმა რევოლიუციონურმა მთავრობამ იუანშიკაის ყველა მომხრე პირი სამსახურიდან გადააყენა

— —

ოსმალეთის ჯარში ხოლერა და ეპიდემია გაჩენილა. დღეში 300 მდე ჯარისკაცი იხოცება. ამის გამო სულთანმა გერმანიის იმპერიის კანცლერს თხოვნით მიჰმართა, რათა ოსმალეთს საჩქაროდ მოაშველონ ექიმები, და სამკურნალო წამლები გამოუგზავნონ

— —

სპარსეთის ჟანდარმებს მოუკლავთ ერთი ინგლისელი მოხელე, რის გამოც ინგლისის საკონსულომ სპარსეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა

## სამხედრო მიმოხილვა

**წვეტებრივ მოქმედება.**

გერმანელები, როგორც ეტყობა, თავისას არ იშლიან და ისევ მოაქვთ იერიშები რიგისა და დვინის ხაზით. პულვორნზე მიტანილ იერიშის დროს გერმანელები რუსთა სანგრებში შეჭრილან და მხოლოდ დამხმარე ჯარის შემწეობით მოუგერებიათ რუსებს.

გარდა ქვეითა ჯარის იერიშებისა, რომლებსაც გერმანელები აწარმოებენ ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, დვინის ხაზზე თითქმის გამუდმებით უშენენ გერმანელები ხან იქსკიულსა და ხან იაკობშტადტის მიდამოებს. ამათში მეტი მნიშვნელობა აქვს იქსკიულის გამაგრებულ ხიდის საფარის დანგრევას, რასაც აგრე რიგად სცდილობენ გერმანელები იქსკიულის ხიდის საფარის განადგურებით და ხიდის ხელში ჩაგდებით მოპირდაპირე ადვილათ შესძლებს დვინის გადალახვას. ამნაირად, ამ პირველი შეხედვით უბრალო იერიშებსა და საარტილერიო ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა ეძლევათ. მხოლოდ მდიდარი ტეხნიკა, რომელიც გერმანელებმა აქ სავსებით მოიხმარეს, დიდ დახმარებას გაუწევდა მათ.

ეს მოსალოდნელი საფრთხე იყო ერთად ერთ მიზეზთაგანი, რომ რუსებმა გალიციის ასპარეზზე საომარი მოქმედება შეაჩერეს.

სამაგიეროდ, რუსებიც ცდილობენ გერმანელების ყურადღება მიაქციონ ბუკოვინას და ხელი აიღებიონ დვინის ხაზით აქტიურ მოქმედებას.

გენ. ლეჩიცკის ჯარმა კვლავ შეუტია ავსტრიელებს ბუკოვინაში და დაიპყრო ამი წყება სანგარი, წაართვა ყვანა ტყვეები და ძვირფასი დავლა ჩაიგდო ხელში. ბუკოვინით, როგორც გუშინ აღვნიშნეთ, ამ ჟამად დიდი ოპერაციების წარმოება და შორის გალაშქრება არ იქნება ხელსაყრელი რუსებისათვის ამიტომ ბუკოვინის ბრძოლებს ადგილობრივი ხასიათი აქვს და მათი მიზანი იგივეა, რაც გერმანელებმა დაისახეს რიგასთან.

ორივე მხარე ცდილობს განაპირა წვერებზე მოპირდაპირეთა საომარი მოქმედება უნაყოფო დარჩეს.

შვერელი.

## ქუთაისი, 18 ივნისი.

სჱ. კედიას შეკითხვის გამო.

ის ფაქტი, რომ ერთად-ერთი მრეწველობა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და რომელიც ჩვენს ხელში იყო, ხელიდან გაგვისხლტა, ჩვენი სამრეწველო ჩამორჩენის საუკეთესო ნიმუშია.

ჭიათურის შავი ქვის მაღნები ქართველების ხელში იყო, მოცილე და მოდავე არავინ ჰყავდათ, შავი ქვა კარგად ფასობდა. უკიდურესი გაჭირვება კარს არც ერთს მათგანს არ ადგა; მაშ რატომ არ შეიძლებოდა მათი შეკავშირება, შეერთება, შეამხანაგება, ერთს სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობად გადაქცევა?! მაშინ ხომ ეს ამხანაგობა იქნებოდა მბძანებელი მსოფლიო ბაზარზე პატრონი უდიდესი სიმდიდრისა და შემქნელი ეროვნული წარმოებისა? და, რაც ექსპორტერებმა ფული გაზიდეს, ის რომ აქ დატრიალებულიყო, ახლა ხომ ფერრო-მანგანეუმის ქარხნებიც კი გვექნებოდა?! მადლობა ღმერთს, ამისთვის ქვანახშირიც [illegible] მოგვეპოება და მდინარეთა ენერგიაც!

დიაღ! ქართველ მრეწველთა [illegible] რებას დიდი ეროვნული და თან საერთო; სახელმწიფოებრივ [illegible] ბოდა.

სამწუხაროდ, არავინ იყო ისეთი, რომ შეამხანაგების ძალი და მნიშვნელობა შეეგნებული ჰქონოდა. შავი ქვის მრეწველთა ყრილობის საბჭო კი განზე იდგა

მაგრამ, რაც იყო, იყო დაკარგული საქმის წახდენას კი არ უნდა ვსტიროდეთ, არამედ წამხდარი საქმის გამობრუნებას უნდა ვცდილობდეთ.

როგორც ვიცით, მალე მთავრობა გერმანული ორი ფირმის—ჰელზენ კირხენისა და „კავკასიის სამადნო ამხანაგობის" — მთამადნების გაყიდვას შეუდგება. საუკეთესო მადნები ამ ამხანაგობათა ხელშია და, ვინც ამ მადნებს შეიძენს, შავი ქვის მრეწველობის ბატონ პატრონიც ის იქნება. ამ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად თურმე ორი დიდი ამხანაგობა შემდგარა: 1) ლვოვ-გრუბერტ დავითიანცი და კ. და 2) ოჰანეზოვ ლიანოზოვი და კ. და, თუ მათ საწადელი აუსრულათ, მორჩა და გათავდა: ქართველი მწარმოებელი ჩვენს ერთადერთს ეროვნულ მრეწველობას საუკუნოდ უნდა გამოეთხოვოს!

მერე უცხო მრეწველი ხომ მხოლოდ იმას ეცდება, რომ, რაც შეიძლება, მალე გამოაცალოს მიწის გულს შიგ დანერგული სიმდიდრე, რაც შეიძლება, მეტი მოიგოს და შემდეგ გამოფიტული მიწა მიაგდოს და თავისთვის გზას გაუდგეს!

ადგილობრივი მრეწველნი კი თავის მოგებას აქვე მოიხმარებენ და ეროვნულ მრეწველობას შექმნიან.

ერთი სიტყვით, უეჭველია, მრეწველობის განვითარებისათვის ისა სჯობია, როდესაც მრეწველობა ადგილობრივ მკვიდრთა ხელშია. ამიტომ, ვფიქრობთ, ძნელი არ იქნება, შევაგნებინოთ მთავრობას, რომ ქართველ მრეწველთ ამ საქმეში მცირეოდენი უპირატესობა მაინც უნდა ჰქონდესთ.

ვფიქრობთ აგრეთვე, რომ ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად ორი საშუალება მოგვეპოება 1) გუბერნიის მარშალმა უნდა იშუამდგომლოს, რომ, ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო კრების დადგენილების თანხმად, ხსენებული სამთამადნო მამულები გადაეცეს თავადაზნაურობას იმ ფულის ნაცვლად, რომელიც უკანასკნელს, როგორც დროებით ვალდებული გლეხების მამულების სასყიდელი, ეკუთვნის. 2) შავი ქვის მრეწველთა საბჭო, ჩვენი სავაჭრო ბანკების გამგეობანი, ჩვენი მილიონერები და საერთოდ ყველა გავლენიანი, ფულიანი თუ უფულო, ქართველი, განურჩევლად პარტიისა და

## უღველი მეხუთე.

(მოთხრობა სვობოდისა).

მომქმედ ჯარზე მოშორებით ვიდექით. იგი დაბლობში დაბანაკებულიყო და გაღმა, გორაკთან, მდგომ მტერს ებრძოდა ჩვენ ვიწექით კართოფილით დათესილ ხნულის კვლებში და თოფებ-მომარჯვებულნი, მებრძოლთ მაღლიდან დავყურებდით: მარცხენა ფრთას ვდარაჯობდით. დროგამოშვებით ავარდებოდა ხოლმე თეთრი კვამლი და გზა-დაბნეული ტყვიები აღმა და დაღმა დაჭქროდა.

ერთმა ტყვიამ ყურებთან გამიზუზუნა და ეს უგემური ხმა გაქრა ჰაერში, სადღაც ჩაკვდა.

თუმცა თოფმომარჯვებული ვიწექი ხნულში, მაგრამ თოფს კი არ ვისროდი. ასეთ საქციელს მეტად ვსთვლიდი. კართოფილის ღეროები ჩემს თვალთა წინ წყნარად ირხეოდენ. ირგვლივ დამპალი ფოთლის სუნი იდგა. თვალი შემოვავლე მიდამოს და ბუნების სიმშვენიერემ გამიტაცა. განუწყვეტელი სროლა მებრძოლთა, აღლუმებს უფრო მაგონებდა, ვიდრე თვით ომს. უჰ, რა კარგი იყო ამ დროს ხნულში წოლა! ცეცხლის ალი ველად დაფარფარობდა, შორს გამდგარი ტყე კი გრგვინავდა, ირხეოდა, ბუზღუნებდა.

ჩემს წინ იწვა ქვეითა ჯარისკაცი—ვანეკი. მაღალი და გამხდარი იყო. გახუნებულ, აწეწილ დაწილ წვერ-ულვაშს დაებურა მისი გულუბრყვილო სახე. როგორც სოფლის შვილი, ვანეკი მოუხეშავი და გაუბედავი იყო. შუა ხანს გადაცილებული და სამი შვილის მამა (როგორც თვითონ მითხრა) ჩვენ ხშირად გვერიდებოდა ხოლმე და განზე გამდგარი—თავისთვის ჰფიქრობდა, ოცნებობდა.

— კარგია არა, ვანეკო, ამ ხნულში წოლა-მეთქი?—გამოველაპარაკე ვანეკს

— მშვენიერია, ნეტა ყოველთვის ასეთ საფარში ვიყოთ ხოლმე, ბატონო ფელდფებელო!—მიპასუხა ვანეკმა.

— რა მაგის საქმეა კართოფილის ხნულში წოლა ნება რომ ჰქონდეს, კართოფილს მოიპარავს და კალთით ცოლს მიუტანს - მოისმა წიწინა და უგემური ხმა ეიემისა, რომელიც იქვე ჩვენ გვერდით იწვა.

ირგვლივ ხარხარი ასტეხეს.

— რასაკვირველია, კართოფილის ქამა სჯობია! გულუბრყვილოდ უპასუხა ვანეკმა.

ჯარის კაცებმა სიცილს მოუმატეს. იცინოდა ვანეკიც და თან რაღაცას ლუღლუღებდა.

უცბად ჩვენსკენ მომავალი მაიორი გოლლე დავინახეთ. მოდიოდა ცხენით მტრისგან გორაკს მოფარებული. მისი ცხენი გაქაფული მორბოდა და ფეხებს მავთულის ჩხირებივით მოათამაშებდა, პირზე ქაფი მოსდგომოდა. ცხენზე მოსჩანდა ყავის ფერი სერთუკი, ლურჯი შალვარი და ყელიანი წაღები მაიორისა. ჩვენ უკვე გვესმოდა ცხენის ფეხთა ყრუ ბაკუნი, მაიორის ქშინვა და უზანგოებში გაჭედილ მისი წაღების უცნაური ჭრიალი.

— ბატონი მაიორი მობრძანდება! — წამოიძახა ეიემმა. ყველას შიშის ზარმა დაგვკრა. ვანეკიც გასწორდა. სცდილობ და ისე დაწოლილიყო, როგორც ამას სამხედრო წესი მოითხოვდა.

— მორბის... მოჰფრინავს მისი მერანი—დაიღიღინა ეიემმა და თოფი მოიმარჯვა, ნიშანი ამოიღო.—თავი ისე უნდა ვაჩვენოთ, ვითომცა მტერს ვესვრითო — ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა ეიემმა და უფრო კარგად გასწორდა.

რაც უფრო გვიახლოვდებოდა მაიორი, მით უფრო მღელვარება გვეტყობოდა. ჩვენ იგი ჭირივითა გვძულდა. მეტის მეტი სასტიკი და გულქვა კაცი იყო.

— ნეტა რად მოდის მეთქი—ვფიქრობდი მე და გული საშინლად მიცემდა.—ალბად შეგვამჩნია, რომ ნაკლებად ვისროდით, ალბად გვიბრძანებს, რომ სხვაგვარ დავწვეთ, სხვაგვარ ვისროლოთ... ღმერთო, ღმერთო!..

— მაშ ისროლეთ... აბა, ბიჭებო, ისროლეთ! აღარ ისვენებდა პარუჩიკი შუსტერი, რომელიც მაიორის დანახვამდე, არაფერს არ აკეთებდა.

— ბიჭო, გუფსკი, ისროლე! შენც, ეიემ, შენც გაისროლე, პოლლაკ პირი ნუ დაგიღია! ყვიროდა, ბძანებლობდა შუსტერი.

გაისმა თოფების ხათქა ხუთქი ჩვენის ხნულიდანაც. მყრალი უსიამოვნო კვამლი ზანტად იძაბებოდა და მიდამოს აბნელებდა. ჩვენ კი მაინც ისევ ვისროდით, ვისროდით ბეჯითად, გულმოდგინედ, თითქოს ეს უმიზნო სროლა სასიხარულო რამ ყოფილიყოს. ალბად, მაიორ გოლლეს მოახლოვების ბრალი იყო ჩვენი ასეთი ერთგულება. სალდათებს მისი ეშინოდათ, არ უყვარდათ იგი. მისი სუქანი, მოთეთრო სახე, ორად გაყოფილი ნიკაპი, პაწია ულვაშები, მოკუმული პირი და სასტიკი, მოჭუტული თვალები თითოეულ ჩვენთაგანის ზიზღს იწვევდა. ჩემს დღეში მე იგი გაცინებული არ მინახავს. ცივად და უკმეხად გვიბძანებდა ხოლმე.

იგი უკვე მოგვიახლოვდა ჩვენც ერთ გულებას მოვუმატეთ.

უცბად ერთმა ტყვიამ სხვა გზით გაიზუზუნა, ამავე დროს მაიორი ცხენზე შეტორტმანდა, გადიხარა და ცხენიდან გადმოვარდა.—ჩვენთაგანმა მოჰკლა მეთქი—გავიფიქრე და გულს სევდა შემომაწვა

— რომელი იყო, რომელმა თქვენგანმა მოჰკლა? დაიღრიალა პორუჩიკმა შუსტერმა და ფეთიანივით იმ კვლებს მოედო, სადაც ჩვენ ვიწექით

— თქვით მეთქი, ვინ მოჰკლა, ვინა? გაჰკიოდა პორუჩიკი და მისი უსიამოვნო ხმა ნემსებივით გვჩხვლეტდა.

ჩვენ ხმა-ამოუღებლად მივჩერებოდით ცხენიდან გადმოვარდნილ მაიორის გვამს. ქუდი შორს გადავარდნოდა. ერთი ფეხი უზანგში დარჩენოდა. უცბად ცხენი ყალყზე შედგა, დაიფრუტუნა და თავქვე დაეშვა მაიორის გვამი გზაზე დაეცა.

ჩვენ ისევ ვსდუმდით.

აღელვებული პარუჩიკი ერთი კაციდან მეორესთან მიდიოდა. ჩვენ კი ვიწექით გაუნძრევლად და ყველას მიზანში მტერი გვყავდა ამოღებული, თუმცა თოფს აღარ ვისროდით

გამოუთქმელ მღელვარებას შეეპყრო თითოეული ჩვენთაგანი. სულგაკმენდილები ვიყავით. ჩვენი პარუჩიკი კუნაპეტივით შავს, ცეცხლის მფრქვეველ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ვინ იყო, ვინა? ერთხელ კიდევ დაიყვირა პარუჩიკმა და ჩვენსკენ გადმოიხედა. მე ზეზე წამოვდექი და წინ გამოვეჭიმე.

იგი შეკრთა.

— ყველა კარგი, მაგრამ მაიორს უნდა მივხედოთ, მოვუაროთ. იქნება მარტო დაჭრილია მეთქი!—აჩქარებით მოვახსენე სამხედრო წესები სულ გადამავიწყდა.

პარუჩიკი დაიბნა. იგი სულ სხვა ალსარებას მოელოდა ჩემგან და მე კი მაიორზე დავუწყე ლაპარაკი თვალებში ცეცხლი ჩაუქრა და რაღაცა წაილუღლუღა. ამ დროს ვილაცამ ჩაიხითხითა და პარუჩიკი ისევ გაბრაზდა.

— უნდა მივხედოთ მაიორს! გადაჭრით ვუთხარ კიდევ პარუჩიკს.

— დიაღ, დიაღ .. უნდა მივხედოთ — დაბნევით გაიმეორა შუსტერმა და აქეთ-იქით ფეთიანივით ცქერა დაიწყო.

— კაპიტულო, წაიყვანე ოთხი სალდათი და მაიორი ასწიეთ.—ბრძანება გასცა პარუჩიკმა

ჩვენ სროლა შევწყვიტეთ. ყველა იმ ადგილს მივჩერებოდით, სადაც მაიორის გვამი ეგდო მაიორის ცხენი კი შორს, ხეებ შორის, დარბოდა და ფაფარ აშლილი გულსაკლავად ჰიხვინებდა.

ერთი საათის შემდეგ მტრის ქვეითა ჯარმა უკან დაიხია და ჩვენც უმთავრეს ლაშქრისკენ გავსწიეთ. მივდიოდით ხმა-ამოუღებლივ, დაფიქრებულნი. მომავალი შიშის ზარსა გვცემდა. მე კი მაიორის სახეც არ მშორდებოდა. რაღაც გამოურკვეველმა სევდამ და მაიორისადმი სიბრალულმა შემიპყრო. გამახსენდა ყველა მისი ნამოქმედარი და ჩემდა უნებურად წავიბუტბუტე: „კარგი კაცი იყო, უბედური, მხოლოდ ვერ იცნეს"-მეთქი.

ლაშქართან მისვლისთანავე ჩვენი კაპიტანი აღელვებით ჩვენსკენ გამოექანა. შუსტერი მიესალმა და მაიორის მოკვლის ამბავი მოახსენა.

— ვიცი! იგი ისევ ჩვენმა ჯარისკაცმა მოჰკლა. ის ტყვია, რომელიც ბარონ გოლლეს გვამიდან ამოიღეს ჩვენი ტყვიაა —უპასუხა კაპიტანმა შუსტერს და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ვინ მოჰკლა? შეგვეკითხა და ცხენზე გასწორდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართულებისა, უნდა შეკრბენ და დიდს ეროვნულ საქმეში და ერთი ძლიერი „შავი ქვის მყიდველი ამხანაგობა“ უნდა შეადგინონ.

ნურც შავი ქვის საბჭოს გავებუტებით და მოვიმდურებთ და ნურც საბჭო აგვივლის გვერდს. დავეხმაროთ მას და დავიხმაროთ. დეე, იმან გამოიჩინოს ინიციატივა, ვისაც ამის უნარიცა აქვს. დაობისა და პაექრობისათვის კი დრო აღარ დაგვრჩენია, რადგან საქმეს მალე უნდა შველა.

მაშ, ხელი ხელს მივსცეთ და ამ საერთო საერო საქმეში მაინც შევვერთდეთ და შევრიგდეთ, ვინაიდან ერთობა შობს ძალას.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

თბილისიდან სამწუხარო ამბავი მოგვიტანეს გაზეთებმა: უეცრად გარდაიცვალა ჩვენი ცნობილი ისტორიოგრაფი და ლიტერატორი ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე.

მისი ბიოგრაფია და დაწვრილებითი ცნობები შემდეგ ნომერში გვექნება მოთავსებული

◆ როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, სახელმწიფო სათათბიროს დამთავრების შემდეგ, ამ ზაფხულს, კავკასიაში ჩამოვა სახელმწიფო სათათბიროს წევრი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვლადიმერ ალექსის ძე რჟევსკი, რომელსაც კავკასიის დეპუტატებისაგან მინდობილი აქვს სათათბიროში დაიცვას კავკასიაში ერობის შემოღების საკითხი.

ბ ნ რჟევსკი კავკასიაში მოდის იმიტომ, რომ პირადათ გაეცნოს ადგილობრივ პირობებს, შეისწავლოს კავკასიის ხალხთა ცხოვრება და გაითვალისწინოს აქაური ავ-კარგი. ბ ნ რჟევსკი პირველად ინახულებს: ბათუმს, მერე ქუთაისს და შემდეგ სხვა ქალაქებსაც ეჭვი არ არის, იგი გაეცნობა ჩვენს მოღვაწეებსაც და ამიტომ საჭიროა, რომ მომზადებულნი შევხვდეთ და საკმაო მასალაც დავახვედროთ.

◆ მდ. რიონის ნაპირებზე პოლიციის დარაჯები წყალში მობანავე ბავშვებს ტანისამოსს ართმევენ და პოლიციაში მიაქვთ შიშველი ბავშვები დედმამასთან ვერ მიდიან და რამოდენიმე საათს იქვე დაძრწიან სიცხე-პაპანაქებაში და ხმა მაღალი ყვირილ ტირილით აწუხებენ ახლო მახლო მცხოვრებ საზოგადოებას. შეიძლება მიზანი, რომ ბავშვები გადაარჩინონ დარჩობისაგან, კარგიც იყოს, მაგრამ არა გვგონია ეს საშუალებაც მოსაწონი იყოს. ნუ თუ არ შეიძლება ბავშვების დედმამა გააფრთხილონ და თვით ბავშვებს კი ასე არ სტანჯავდენ?

◆ თბილისიდან უკვე დაბრუნდა ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი.

◆ ოფიციალური ცნობაა, რომ თანხმად სახალხო განათლების მინისტრის უქვეშევრდომილესი მოხსენებისა, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო მისცენ სამხედრო ბეგრის მოხდაში შეღავათი 15 ივნისამდის 1916 წლ. 1896 წელში დაბადებულ მოსწავლეებს იმ კერძო სასწავლებლებისას, რომელნიც მოწაფეთ სახაზინო სასწავლებელთა უფლებებს ანიჭებენ; შეღავათი მიეცემათ 1 ოქტომბრამდის 1896 წელს დაბადებულთ, რომელთაც წრეულ საშუალო სასწავლებელი დაათავეს, რათა შეძლება მიეცესთ მათ უნივერსიტეტში შესვლისა.

◆ ქართულ გიმნაზიაში მერვე კლასის მოწაფეთა გამოცდა უკვე დასრულდა. ეგზამენს იჭერდა 71 მოწაფე. მათ შორის კურსი დაასრულეს და სიმწიფის მოწმობები მიიღეს 64 აი მათი გვარები:

**პირველი განყოფილება:** აბესაძე გიორგი, აბულაძე კალენიკე, ანთელავა ვლადიმერ, არჯევანიძე ალ., გოგრიჩაძე გალ., დათეშიძე გრ , დათეშიძე ნიკ., დგებუაძე ილია, დევიძე პლატ., ჯანელიძე ნიკ., ქვანია ილ., კალანდარაშვილი ვალ , ქელბაქიანი ვლ., ყიფიანი დავ., ყიფიანი ივ., ქოჩიაშვილი აკ., კორძაია დავით, ლორთქიფანიძე დავ., მარგველაშვილი კალ., მახარაძე ალ., მეძმარიაშვილი გერ., მოსიძე მიხ., მხეიძე ბიკ., მხეიძე გიორგი, ნიჟარაძე სერ., პატარიძე აკ., თვალთვაძე ვლ., ხუტულაიშვილი იოსებ, წერეთელი ტიხონ, ცხადაძე ივ. და ჩხეიძე გრიგოლი.

**მეორე განყოფილება.** აბაშიძე გიორ. ალიბეგოვი გრ., ახვლედიანი გიორ., ბაქრაძე ივლ., ბოკერია პეტ., ბუაძე სევ., გამყრელიძე შალვა, გოდაბრელიძე სვ. დადიანი შალვა, ჯანელიძე ბენ., ქვანია გრ , იმედეიშვილი აკ., იმედეიშვილი მიხ , ქაჯაია კონსტ., კაკუბერი ონოფ , კანდელაკი აბიაფ., კანდელაკი დომენტი, კვაშალი ლევ., ყენია შალვა, კიკაბიძე ლავრ., კობიძე სილ., ლალაძე ბიკტორ , ლოლუა ლევან, მიქაბერიძე გრ. მიქელაძე ნესტ ,მუსერიძე პარამან, ნემსაძე პანკრ., საყვარელიძე მიხ., თოფურიძე ვლად , ცაგარეიშვილი გიორ., ჩხაიძე გრიგოლი. რიკრიკაძე ალექ და ეპიტაშვილი ივანე. რაც შეეხება დატოვებულ მოწაფეებს, მათ შესახებ პედაგოგიურმა საბჭომ დეპუტატის თანადასწრებით აღძრა შუამდგომლობა, მიეცესთ ნება ხელმეორეთ ეგზამენი დაიჭირონ აგვისტოში იმ საგნებში, რომელშიც სუსტნი აღმოჩნდენ.

---

## ს ო ფ ლ ა დ.

— 15 ივნისს, სოფელ ბაშში (ქუთ. მაზრა) მცხოვრებს ფარნაოზ კაშიას მუშაობის დროს მიეპარა მისი ძმისწული მიხაკო კაშია. სოფლის მასწავლებელი, და ცულით“ დასჭრა თავში. დაჭრილს საექიმო დახმარება მალე აღმოუჩინეს, ხოლო მასწავლებელ კაშიას ოქმი შეუდგინეს

— 10 ივნისს, ღამით, სოფელ ბზვანის მცხოვრებს გიორგი გოგოძეს თავს დაესხა სახლში სამი შეიარაღებული კაცი გაჩხრიკეს სახლი და წაიღეს 100 მან., ორი სანადირო თოფი, ერთი ხმალი, ერთი ხანჯალი და ერთი რევოლვერი.

— 3 ივნისს, ნაოლაღევის გზაზე სოფელ ტამაკონთან (სენ მაზრა) ორმა შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა პეტრე გველავა და კოწია ჯანაშია. პირველს წაართვეს 10 მან; მეორეს 8 მან; ამის გამო 10 ივნისს სოფელ ნახუნოვის (სენ. მაზ.) მამასახლისმა დაიჭირა ორი ავაზაკი აქსენტი გიგაია და მოსე ცანავა; გაძარცულების თქმით, ეს პირები უნდა იყვნენ მათი ფულის წამღებნი. მამასახლისმა ორივე დააპატიმრა ცოტა ხნის შემდეგ გიგაია“ დაკეტილ ოთახიდან გაქცეულა. მამასახლისი უკან დაედევნებია და რადგან გიგაია არ გაჩერებულა, მამასახლისს იგი სანადირო თოფით დაუჭრია.

---

# მცირე განმარტება.

## (გაზეთ „ჰორიზონის“ რედაქციის საყურადღებოდ.)

თქვენი გაზეთის № 116 ში გადაბეჭდილია პატარა ფელეტონი გაზ. „სამშობლოდან“, რომლისათვისაც „ინსინუაცია“ (ცილისწამება) გიწოდებიათ. შემდეგ ეს „ინსინუაცია“ გადაჰბეჭდა გაზეთმა „ბაკუმ“ და საშინელი აღშფოთება გამოაცხადა. მას ამ ბოლო დროს შეუერთდა „კავკ. სლოვო“ ც.

ყველა ამის გამო გვაქვს პატივი მოგმართოთ შემდეგის შეკითხვით:

რას უწოდებთ თქვენ „ინსინუაცია“ ს? განა კაცმა რომ ნამდვილი ფაქტი აღნიშნოს ინსინუაციაა? მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ მღვდელ მთავარ მესროპის სახელზე თბილისში ამერიკიდან იარაღი მოვიდა და ნუ თუ თქვენთვის ეს ამბავი ცილის წამებაა?

— რათა სჭირია ეპისკოპოსს იარაღი? აი, ის საკითხი, რომელიც ყველას პირზე გვადგია და უბრალო და უსამართლო გულის წყრომის მაგიერ, ეს საკითხი რომ აგეხსნათ და გაგერკვიათ უფრო მადლობელი დაგრჩებოდით.

ახლა კი ჩალადაც არ ვაგდებთ თქვენს ბობოქრობას...

---

# გ ა კ ვ რ ი თ.

გაზეთ „სამშობლოს“ 381 №-ში მოთავსებულია სტუდ. არ. ფანცულაიას წერილი „ქართველი სტუდენტის წერილი“. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით სტ. ფანცულაიას, მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა. რომელსაც საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ვინ იქნება იმის წინაალმდეგი, რომ ქართველი სტუდენტი რუსეთში ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდის; ვინ წავა იმის წინაალმდეგ, რომ ქართველ სტუდენტს ესაჭიროება დახმარება, ვერც იმის წინაალმდეგ წავალთ, რომ დღეს ბევრი სტიპენდიები პარტიული საზომით რიგდება; ჩვენც დავსძენთ, რომ აუცილებლად საჭიროა ქართველი სტუდენტის დასახმარებლად ფართო ორგანიზაციის დაარსება, - რომ ქართველი სტუდენტი ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოზარდოს.—კეთილი და პატიოსანი, ყოველივე მართალია, მაგრამ ერთი მგლისკენ, და ერთიც ცხვრისკენაც: ქართველი სტუდენტი უნდა იყოს დაინტერესებული თუ არა იმ საზოგადოების ავ-კარგით, რომელიც მას დახმარებას უწევს? ქართველი სტუდენტი უნდა ფიქრობდეს მასზე თუ არა?— თუ მარტო მშრალი სიტყვები კმარა: საჭიროა ეს, საჭიროა ის, დაგვეხმარონ, დავეხმარებით და სხვა. მე მხედველობაში მაქვს „ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება“, რომლის ყოფნა-არ ყოფნა, არსებობა-არ არსებობა დამოკიდებულია ორ-სამ პიროვნებაზე, რომლის სულის ჩამდგმელადაც ორი-სამი პიროვნება ითვლება, და რომელიც, მიუხედავათ ამისა, დიდს და დიდს მოვალეობას ასრულებს მით, რომ მრავალ ქართველ ახალგაზდას უწევს დახმარებას რუსეთში. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბევრმა ჩვენმა მყვირალა მოღვაწემ არც კი იცის ამ საზოგადოების არსებობა; თუ იცის. ბევრად არ აინტერესებს მას, ამ საზოგადოების ავკარგიანობა.

ყველასათვის ცხადია, რომ ეს საზოგადოება ექიმ ხეჩინოვის წყალობით არსებობს დღეს, და განაგრძობს თავის მოქმედებას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ-სამ წევრს გამგეობისას, ამ საზოგადოებას მეტი ჭირისუფალი არა ყავს.

დავანებოთ თავი ვაჭრებს, რადგანაც მათ თავისი „საკუთარი“ საქმე აქვთ, დავანებოთ თავი ვექილებსაც, ექიმებსაც (ორი-სამის გამოკლებით) და მასწავლებლებსაც (თუმცა ამ საზოგადოების წევრად ყოფნა პირდაპირი მოვალეობაა მათი), მათაც არა სცალიათ (მე მასწავლებლებს ვგულისხმობ მხედველობაში), პარტიულ საქმეებს ემსახურებიან; დავანებოთ თავი ჩვენს „დიპლომიან“ მოღვაწეებსაც, მათ ხომ სულ არა სცალიათ, რომ ისეთ უსარგებლო და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულ საზოგადოებას ემსახურონ, როგორიც არის სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება.

ბევრს ქალაქის გამგეობის მიერ დავალება აქვს ტკეპნოს ბაღი დღიან-ღამიანათ, ბევრნი შეპირებულნი არიან ღამეები კლუბებში ათიონ, და ასე ამ რიგათ ყველანი საქმეს ადგანან, მოცლილი არავინ ყოფილა. დაგვრჩა სტუდენტობა, რომელთა დიდი დანაშაული იქნება ჩვენის მხრით, რომ დავეწაფოთ ბანქოს თამაშს ან ბაღის თელვას (?) მაშ, რას აკეთებს ეს სტუდენტობა?

ნუ თუ მათ არ უნდა აინტერესებდეს იმ საზოგადოების ავ-კარგი, რომელიც მას დახმარებას უწევს! რომ არ აინტერესებს,—ეს ცხადია. ეს დაგვიმტკიცა სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების წლიურმა კრებამ 13 ივნისს, რომელსაც 7 ადამიანი დაესწრო, მასში ორი სტუდენტი.

სად იყვნენ ნეტა იმ საღამოს ქუთაისში მყოფნი ქართველი სტუდენტობა?

ვისას იყვნენ მიწვეულნი ვახშამზე?

როცა ეს საზოგადოება საღამოს მართავს მათსავე სასარგებლოთ, მაშინ ხომ მოცვივიან თხოვნებით და საზოგადოების გამგეობას აბრალებენ თავს! და წარმოიდგინეთ ყველა მათგანს აკმაყოფილებენ. სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება მართავს კრებას; ნუ თუ ქარველ სტუდენტს, რომელსაც არა ერთჯერ და ორჯერ მიუღია მისგან დახმარება, არ უნდა აინტერესებდეს ამ საზოგადოების ავ-კარგი? ნუ თუ ქართველი სტუდენტი ვალდებული არაა, მოვიდეს ამ საზოგადოების კრებაზე, გაეცნოს მის ავ-კარგს და მადლობა გამოუცხადოს იმ საზოგადოებას, რომელიც მას გაჭირვების დროს ეხმარება.

თურმე ნუ იტყვით, არა სცალიათ!

12 ივნისს, ე. ი. ამ საზოგადოების კრების წინა დღეს შევხვდი ერთ სტუდენტს (რომელსაც არა ერთჯერ და ორჯერ მიუღია ამ საზოგადოებისაგან დახმარება) და გადავეცი მოვიდეს კრებაზე. მან მიპასუხა, „თუ მოვიცალე მოვალო“. და აკი არც მოვიდა. არა სცალოდა თურმე. საინტერესოა, რა დიდი ცალი ეკიდა ზურგზე!

ასეთი „მოუცლელნი“ განა ცოტა არიან! ეჰ, არვის არა სცალია, და მით უმეტეს თურმე სტუდენტებს ეჰ, სირცხვილია, სირცხვილია! სტუდენტი.

---

# წერილი სამეგრელოდან.

სოფლით, სოფლის ეკონომიური ცხოვრებით და სოფლური მსოფლმხედველობით არ განიზომება ერის მომავალი; არის უფრო მაღალი, უფრო შემომქმედი და ძლიერი ფაქტორი, რომელიც დროისადა შესაფერისად მიაქანებს ეროვნულ ორგანიზმს მთლიანობისა და სრულყოფისაკენ; ასეთია თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში მრეწველი კლასი, ქალაქური წარმოება, ინტენსიურად მოძრავი ბურჟუაზია. მაგრამ ის მარტივი გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიური ცხოვრება დღესდღეობით სოფლური ხასიათისაა, ის გარემოება, რომ ქართველი ერი ამიერკავკასიის სხვა ერთა შორის სოფლური წარმოების გარშემო ტრიალებს,—ვალდებულად გვხდის ერის ამ სპეციფიურ ეკონომიურ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ.

რას წარმოადგენს ამ მხრივ დღევანდელი ანორმალურ პირობებში ჩვენი სამშობლო? მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე. ეს მხარე საზოგადოთ და კერძოთ სამეგრელო ცნობილია თავისი სიმინდით.

---

კრინტი არავის დაუძრავს.

— უმჯობესია, დამნაშავემ თვითონვე აღიაროს... თორემ სულ ერთია...—ბრძანა კაპიტანმა.

სამარისებური სიჩუმე არ დარღვეულა.

— არ იცით განა, რომ ბრძოლის დროს გამოსაძიებლად არა გვცალიან..... ყველას დაგხვრეტავთ. გრგვინავდა კაპიტანი.

პარუჩიკი შუსტერი კაპიტნის გვერდით იდგა და დაღვრემილი ულვაშს იკვნეტდა.

— ხუთი წუთის შემდეგ დაირაზმეთ და, თუ არ გასცემთ იმ არამზადას, რომელმაც მაიორი მოჰკლა, ყველას დაგხვრეტავთ!—უკანასკნელად ბრძანა კაპიტანმა, ცხენი მოაბრუნა და გაქუსლა.

კაპიტნის სიტყვები მტკიცე და სასტიკი იყო. მე გამახსენდა სამხედრო წესები, რომლის თითოეული მუხლიც შემდეგის საზარელის სიტყვებით თავდება: „დახვრეტილ იქმნება“.

ჯარის კაცებმა დრტვინვა დაიწყეს

— კრინტსაც არ დავძრამთ!—ამბობდა ყველა.

—ვერაფერსაც ვერ გვიზმენ!—გაიძახოდა თვითოეული მათგანი, თუმცა ყველა აღელვებული და შიშით იყო შეპყრობილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ კაპიტანი ისევ დაბრუნდა და თან რაზმის უფროსის განკარგულება მოიტანა. სახე მოღუშული ჰქონდა, მისი ცხენიც ყალყზე დგებოდა. ჩვენ თავზარი დაგვეცა.

კაპიტანმა ჩამოგვიქროლა და ერთხელ კიდევ შეგვეკითხა:

—იტყვით თუ არა, ვინ არის დამნაშავე?

მისმა ცივმა და სასტიკმა ხმამ შეგვკრა, შეგვბოჭა.

ჟრუანტელმა დამკრა თავში, სისხლი გამეთოშა.

სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

კაპიტანი მიუახლოვდა შუსტერს და რაღაც უთხრა. შუსტერი გაწითლდა. ამის შემდეგ კაპიტანმა გვიბძანა დავრაზმულვიყავით. ჯარის კაცები ზანტად შეუდგენ უფროსის ბრძანების აღსრულებას.

როდესაც შუსტერს გვერდზე გავუარე, ჩამჩურჩულა:

—გახსოვდეს ყოველი მეხუთე...

გული საშინლად მიცემდა, თავს ბრუ მეხვია, მეტირებოდა და შუსტერის სიტყვების აზრი ვერ გავიგე.

მე მოვხვდი პირველი რიგის სათაურში. არაფერზე ფიქრი აღარ შემეძლო, არც ვიცოდი რა მოგველოდა, მხოლოდ მესმოდა კაპიტნის ყვირილი—ჩქარა, ჩქარა ნუღარ აგვიანებთ .. დაეწყეთო.

უცბად თავში ნათელმა აზრმა გამირბინა „ყოველი მეხუთე“... გამწივლა ყურში შუსტერის საიდუმლო სიტყვებმა და მივხვდი კიდეც: ყოველი მეხუთე კაცი რიგში დაიხვრიტებაო“ აი, რა უნდა ეთქვა მეთქი ჩემთვის შუსტერს და შიშის ქარმა ამიტანა. გაფანტვით მიმოვიხედე და ჩემამდე მდგომნი გამოვითვალე. მე მეათე ვიყავ! განუსაზღვრელმა შიშმა შემიპყრო, გულში სისხლი ჩამექცა. ერთის თვალის დახამხამებაზე მოვწიე ჩემ მარჯვნივ მდგომ კაცს, მარცხნივ გადმოვიყვანე და მე მის ადგილას გავჩერდი ასე უცბად მოვახერხე ყველა ეს, როა არავის შეუმჩნევია. მე დავმშვიდდი... გადარჩენილი ვიყავ, მარტო ახლა დავუკვირდი იმ კაცს, რომელიც ერთის ნახტომით სიკვდილს პირში მივეცი.

ეს იყო ვანეკი

ის ისევ ისე მშვიდად იდგა, ისეთივე კეთილი თვალები ჰქონდა, როგორიც წინად, როგორიცა აქვს ყველა მიწის მუშას. მის წყნარსა და უმანკო სახეს ღიმილი დასთამაშობდა.

გამოუთქმელი სიბრალული აღმეძრა გულში მისდამი. წავავლე ხელი, ისევ თავის ადგილზე უნდა გადმომეყვანა, მაგრამ კაპიტანმა შეჰამჩნია და დამიყვირა

—ადგილიდან არავინ დაიძრას... გაჩერდით!.. ვინც დაინძრევა, ამ წუთშივე დავხვრეტავთ—დაიღრიალა კაპიტანმა და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოჰყარა.

ყველამ სული გავნაბეთ. გული მიკვნესდა. შევხედე ვანეკს და... ის კი იღიმებოდა, უდარდელად გასცქეროდა იმ გზას, რომლითაც პოლკის უფროსი, რამდენიმე აფიცერი და ქვეითა ჯარისკაცები მოდიოდენ მოუთმენლად ველოდი იმ წუთს, როდესაც ვანეკს ისევ თავის ადგილს გად მოვიყვანდი, მაგრამ განძრევასაც კი ვერა ვბედავდი, კაპიტანი თვალს არ მაშორებდა.

აგერ გამოჩნდა პორუჩიკი შუსტერი. იგი თითქო გაზდილიყო, გამაღლებული ყო. მოგვიახლოვდა ჯარის კაცების რიგს და ხმამაღლა დაიწყო თვლა: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი“, მეხუთე კაცს კისერში ხელს ავლებდა და რიგის გარედ გამოჰყავდა.

—ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... უფრო და უფრო ახლო მესმოდა შუსტერის ხმა.

აგერ ვანეკსაც წაავლეს კისერში ხელი იგი ღიმილით გამოვიდა რიგიდან. არც კი იცოდა რა დღე მოელოდა! მე ვთრთოდი, განუსაზღვრელი გრძნობა სინანულისა და სიბრალულისა გულღვიძლს მიღრღნიდა ვანეკი კი ისევ უმანკოდ იღიმებოდა.

გამახსენდა ამასთან ერთად გატარებული წუთები, გამახსენდა, რომ იგი სამი შვილის მამა იყო და თვალებში ცრემლები მომადგა.

—ეს ხომ ჩემი უნამუსობა, ჩემი უსინდისობაა მეთქი!—ვბუტბუტებდი ჩემთვის, მაგრამ იმდენი ვაჟკაცობა კი ვერ გამოვიჩინე, რომ იგი სიკვდილისაგან დამეხსნა. ის დაღლილობა, ის მიუწდომელი შენ ჩემობა, რომელიც კაცის ბუნების ნაკლია, ერთ ადგილს მაკავებდა. ცრემლი კი მარჩობდა, გული ძალზე მიკვნესდა, მაგრამ მაინც გაბედულად შევყურებდი ყველას.

შუსტერმა თვლა გაათავა, ოცდა ერთი კაცი გამწკრივეს. რვა, ახლად მოსულ ჯარისკაცთაგანმა, განწირულებს თოფები ჩამოართვა.

ვანეკი გაფითრდა.—ღმერთო ჩემოო—გულსაკლავად წაიდუდუნა, საცოდავათ გულ ხელი დაიკრიფა და მერე ნაღვლიანად შემომხედა. მე თავი დავხარე—„მაპატიე-მეთქი“ ესეც კი ვეღარ ვუთხარი, სიტყვები ტუჩებზე დამაკვდა, რადგანაც შუსტერმა წამოგვიარა და ყველა გადარჩენილი მოწინავე რაზმებისაკენ წაგვიყვანა: იქ, სადაც მტერს პირდაპირ უნდა შევბრძოლებოდით.

ჩვენ მივეშურებოდით .. როგორც ნახირი, ისე ვემორჩილებოდით ჩვენს უფროსებს.

მთელის ჩემის არსებით ვკანკალებდი, ფეხები უკან მრჩებოდა. თვალებში სულ ვანეკის მშვიდი და უწყინარი სახე მელანდებოდა გულის ძგერით მოველოდი თოფის ხმას.

უცბად ჩვენს უკან გაისმა თოფების შესაზარი თქაფა-თქუფი.

მე შევკივლე და თვალთ დამიბნელდა მწარე სევდამ მოიცვა მთელი ჩემი არსება და მწუხარებამ შეჰბორკა ჩემი გული ..

ი. ცანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი დარგი მეურნეობისა აქეთ ისე არაა გავრცელებული, როგორც სიმინდი, მევენახობა, მებაღობა, მებოსტნობა და სხვა მატერიალური დოვლათის წარმოებაში არსებითად სუსტია სამეგრელო. ამ გარემოებას, რასაკვირველია, ვერ ავხსნით იმით თითქოს ოდიში ფლორა და ფაუნა არ სწყალობდეს მევენახობას, გინდ სხვა სასოფლო მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას. არა! ამ შემთხვევაშიაც ის ქართველი ერისთვის ზოგადი დამახასიათებელი დაუდევრობით და ეკონომიკის პრიმიტიული ცოდნისა და შესძლეობის დაგროვებით აიხსნება. ყველას კარგათ მოეხსენება, თუ რა ძნელი არის მიწის დამუშავება ძნელია განსაკუთრებით სიმინდის მოვლა. სამეგრელოს ნოტიო ალაგი ჯერ ორჯერ უნდა დახნა, რომ ნორჩ ჯეჯილს ბალახმა არ წამოუსწროს და ძირშივე არ დააჭკნოს. ამ ნაირად, ალმონაცენები მოსავალი ორჯერ მოითხოვს თოხს, მარგვლასა და გოროდინს. ხოლო თუ გვალვაა, მაგარი ბელტების დასამტვრევად ზედმეტ შრომასაც „დაფარცხვასაც“ საჭიროებს. მერე რითი ასრულებს თითოეული ამ შრომას მეგრელი გლეხი? მის ხელთ ჯერ არა თუ არ დაძველებულა მამა-პაპური სახნის გუთანი და სამ გირვანქიანი თოხი, არამედ ერთად ერთ საშუალებას მათი საწარმოვო იარაღისას სწორედ ეს დრომოჭმული იარაღი შეადგენს. ვერ წარმოიდგენთ თუ რა აუნაზღაურებელ ჰაპანს ეწევა, როგორც პირუტყვი, ისე მუშა მეგრელი, როდესაც სამეგრელოს ნიადაგს ღრმად გადაშლა სჭირია.

ულელი ხარი, მისი მიმყოლი გლეხი და წინამძღოლი მეგრელი ბიჭი მთელი დღის განმავლობაში ოფლს იწურვენ, საკვირველის მოთმინებით ხელახალ ენერგიას იკრეფენ, ან და ჩვენებურათ რომ ვსთქვათ „წელზე ფეხს იდგამენ“. საკვირველის სულგრძელობით ჭიანურდება ეს პროცესი! მერე ოდნავათ მაინც შეედრება მათ შრომას ის რაც წლის განმავლობაში იძენენ?

ეგრისი.

---

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

### მ.

**მძოვნელი**, травоядный; წარმოსდგება სიტყვიდან: ძოვენ (ѣсть, ѣдять траву).

**მძრწოლარე**, трепещущій.

**მწარნავღლიანი**, меланхоликъ.

**მწერო**, журавль

**მწვერვალი**, кончикъ, конецъ; მაგალითად: მწვერვალი თითისა, кончикъ пальца, მწვერვალი მთისა, вершина горы.

**მწითური**, алый, красноватый.

**მწუხარება**, печаль.

**მჭთოლარე**, возбуждалый.

**მხავსი** мохъ.

**მხედვარეობა**, созерцаніе, способнсcть видѣть.

**მხედვარეობითი** (ცხოვრება), созерцательная (жизнь).

**მხედველობა**, зрѣніе, взглядъ.

**მხმობარე**, издающій звуки.

**მხმობარეობს**, издаетъ звуки.

**მხოლოობა**, единственное, уникумъ.

**მხოლოსახე**, единообразный.

**მხოლო ტერფი**, однокопытный.

**მჯდომი**, მუწუკი, კოპანა, язва, шишка отъ ушиба.

### ნ.

**ნავით-მავალი**, мореплаваніе или рѣчное плаваніе.

**ნავღელი**, желчь.

**ნავღლეანი**, შეშლილი, сумасшедщій.

**ნაკლულევანება**, недостатокъ.

**ნაკვეთი**, геометрическая фигура.

**ნაკლულევანი ხელთაგან**, съ недостающими руками.

**ნათხემვი**, პატარა ტვინი, мозжичокъ.

**ნათხზენი**, შეთხზული, сплетенный. აქედან ახლანდელი სიტყვა: თხზულება, произведеніе.

**ნამეტავი**, განავალი, экскременты.

**ნამეტნავი**, лишній.

**ნემეტნავად**, напрасно.

**ნამჟელი**, ერთგვარი მცენარეა, რომელსაც ხმარობენ ქვეშსაგების გასატენად, აგრეთვე „набивка“.

**ნასახი**, черта.

**ნასხმანი**, ხან ნიშნავს „მუსკულს“, „მყესს“, ხან „არტერიას“.

**ნაყოფის მოღება**, приносить плодъ

**ნაყრი**, экскременты

**ნაშთენი**, оставленный.

**ნაცვლის გება**, мщеніе.

**ნაცვლის უკუნძღევა**, воздавать.

**ნაცილი**, ложный.

**ნაწევარი**, органъ, часть тѣла.

**ნაწევაროანი მიმოთქმა**, членораздѣльная рѣчь.

**ნაწილი**, часть, начало, элементъ მაგალითად: ვნებითი ნაწილი სულისა, страстное начало души

**ნაწილობითი**, частичный, частный.

**ნაწლევნი**, внутренности полости живота.

**ნებთაჲ**, ჩქარი გულისცემა, тахикардія.

**ნებსითი**, произвольный, добровольный.

**ნერგოვნებითი**, растительный

**ნესტვი**, пора.

**ნივთი**, вещь, вещество, матерія აქედან: უნივთო, нематеріальный, невещественный.

**ნოტიო**, жидкость, жидкій.

### ო.

**ორკეცი**, парный.

**ორთქლებრივი**, парообразный, აქედან: ორთქლი, царъ.

**ორობით**, двояко.

**ორღანებრივი**, ნაწევროანი, организованный.

**ორღანო**, органъ, инструментъ, орудіе.

**ოსქიოჲ**, мошонка (scrotum).

**ოცნებითი**, способность представленія.

**ოცნება**, воображеніе.

**ოცება**, призракъ. აქედან საოცრ: предметъ представленія.

**ოცებული**, одержимый галлюцинаціями, призрачными представленіями, ე. ი. მოჩვენებითი წარმოდგენებით. აქედან: ოცებულობა, галлюцинаторное помѣшательство.

### პ.

**პატრუკი**, папирусъ; ორბელიანის ლექსიკონში პალრუკი (=პატრუკი) ნიშნავს სანთლისა და ბაზმის ჩალას

**პერულებრივი**, (სხეული), пѣнистая плоть (=ноздреватая масса).

**პირველ**, წინეთ, предпочтительно, раньше, прежде.

**პირველ-აღსარებული**, აქსიომა, аксіома.

**პირველ-ზანზრახული**, предположеніе; წარმოსდგება სახელზმნიდან: პირველგანზრახვა.

**პირველმღები**, 2-я посылка силлогизма.

**პირი მუცლისა**, კუჭის პირი, входъ въ желудокъ., (cardia).

**პყრობა ვნებათა**, владѣть страстями.

**პყრობით მოღვაწე**, воздержный.

### რ.

**რაგამი**, რაგვარი.

**რაგამობა**, სარაგამობა, соразмѣрность. აქედან წარმომდგარი კეთილრაგამობა ან კეთილსარაგამობა ნიშნავს: „ჰარმონიას“.

**რომელობა**, качество.

**რჩეული** (ნიჭი), избранный (талантъ).

### ს.

**სააზრო**, вѣроятный.

**საგამი**, сходный, соотвѣтственный.

**საბურავი, საბურველი**, покрывало, покровъ. აქედან: საბურველნი ტანისა, покровы тѣла, საბურვლის უჯრედები, покровныя, или епительныя клѣтки (ახლანდელი ტერმინი).

ვასილ წერეთელი.

---

## პროვინციის ცხოვრება.

**ცაგერი**. არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენს პრესაში უმწეო მდგომარეობა, ჩამორჩენა, ჩამოქვეითება ლეჩხუმის მაზრისა. მეტად სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ეს მაზრა ერთი უმშვენიერესი, ულამაზესი და უმდიდრესი კუთხე არის ჩვენს ქვეყანაში.

მიუხედავათ ამისა, ვისაც კი ლეჩხუმში უმოგზაურია, დამეთანხმება, რომ იგი დიდ კულტურულ ჩამორჩენას განიცდის სხვა მაზრებთან შედარებით. მართალია, მსოფლიო ომმა ათასგვარი სიძნელე დაბადა, ცხოვრების ნორმალური მსვლელობა შეაფერხა, მაგრამ სხვა წრეში, სხვა საზოგადოებაში, სხვა ხალხში დიდი სიფხიზლე-სიცოცხლეც შეიტანა. ლეჩხუმში კი ისევ მძინარება, ისევ დუმილი არის გამეფებული ამ კუთხეში. ყოველ ზაფხულობით მრავალი უცხოელი კმაყოფილდება ბუნების სიმშვენიერით, სიტურფით, ხოლო ამ დროს გულნატკენი რჩება, როდესაც ასეთი უმწეო არის მდგომარეობა მცხოვრებთა, რომელთაც პირველ ყოფილი ადამიანის პირობებში უხდებათ ცხოვრება. მაგრამ ასეთი მძინარება ადგილობრივ მკვიდრთა, უდარდელობა და კულტურისაკენ მიუზიდველობა სრულიად არ ამართლებს იდუმალობას მთავრობისას, რომელიც შერიგებითი თვალით უცქერის ამ მდგომარეობას. ყველას უნდა სწამდეს, ყველას უნდა სჯეროდეს, რომ ეს ასე არ უნდა ხდებოდეს, ეს ასე არ უნდა იყოს მეტი სიფხიზლე, მეტი საქმიანობისაკენ უნდა უწოდებდენ ხალხსა და საზოგადოებას. ინიციატივა კეთილი საქმისა ასეთ მივარდნილსა და ჩამორჩენილს კუთხეში, სადაც ინტელიგენტთა დანაკლისი დიდია, ვის უნდა მოეთხოვოს თუ არა მღვდელს, სოფლის მასწავლებელს და სხვა წარმომადგენელთ ხალხისას? მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება, და ვინ იცის, იქნება თუ არა გამგონი ნათქვამისა. გავიგოთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ ჩვენი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. გავიგოთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ ჩვენი მხსნელი ამ უმწეო მდგომარეობიდან ისევ ჩვენა ვართ. ისევ ჩვენმა შეერთებულმა ძალამ, ნიჭმა, გარჯა-გამჭრიახობამ უნდა დაგვწიოს ჩვენზე წინ წასულ ძმებს. ჩვენ თვით უნდა გამოვსჭედოთ პირობები კულტუროსნობისა, ჩვენ თვით უნდა ჩავებათ კულტურული ცხოვრების ფერხულში.

აი, აქ არის შველა, აი, აქ არის ეს ერთადერთი პირობა ჩვენი აღდგენისა, ჩვენი აღორძინებისა და ჩვენი წინმსვლელობისა.

---

## რუსეთი.

განათლებისა და სამხედრო სამინისტროებისა შეთანხმებით, 1897—1896 წლებში დაბადებული მოწაფეები, რომელნიც საშუალო სასწავლებლებში სწავლობენ, სწავლის დასრულებამდე ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი.

— —

გალიციის უკანასკნელი ბრძოლის დროს წამოყვანილი ტყვეები არ იქნებიან გაგზავნილი ცენტრალურ პუნქტებში და პირდაპირ სამუშაოდ დაგზავნიან რუსეთის სხვადასხვა ნაწილში. სანიტარულ შემოწმების შემდეგ უკვე დაუგზავნიათ ტყვეები 32 გუბერნიაში.

განსაკუთრებით საჭირო ყოფილა დღეს მუშა ხელი სამხრეთ რუსეთის გუბერნიებში, სადაც პური ზოგ ალაგას სრულიად დაუმუშავებელი დარჩება, თუ ტყვეებმა არ იმუშავეს.

— —

სახალხო განათლების სამინისტროს განმარტებით საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს მიეცემათ დროებითი შეღავათი სამხედრო ბეგრის მოსახდელად უნივერსიტეტში შესვლამდის, როგორც 1896 წელში დაბადებულებს, აგრეთვე 1895 წ., 1894 და წინა წლებში დაბადებულთაც.

— —

გზათა სამინისტროს გამოანგარიშებით, რუსეთს წელიწადში 8000 ვერსის სიგრძის ახალი რკინის გზების გაყვანა სჭირია, რომ მიმოსვლა და ბარგის გადაზიდვა-გადმოზიდვა დაუბრკოლებლივ სწარმოებდეს

— —

პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ინჟინერი თავადი თუმანოვი ჩამომავლობით ქართველი უმაღლესად დაინიშნა დასავლეთის ასპარეზის სურსათის მიმწვდენ სამმართველოს უფროსად.

— —

შინაგან საქმეთა მინისტრს ბობრინსკის განუცხადებია, მე მუდამ თანავუგრძნობდი ებრაელებს, მაგრამ უმჯობესია სრულიად არ აღვძრათ ებრაელთა საკითხი, რადგანაც ამით თვით ებრაელები იზარალებენო.

— —

როგორც ეხლა ირკვევა, ოსმალების მიერ შავ ზღვაზე სამგზავრო გემის „მერკურის“ დაღუპვის დროს, მას წინ გაძღოლია გემი „პოტიომკინი“, რომელსაც არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია „მერკურისათვის“.

## უცხოეთი.

ირლანდიის აჯანყების მონაწილეთა გასამართლების დროს კეზმენტას უთქვამს: ამბოხებას არავითარი გერმანული არა ჰკარებიარა და არც ერთი პფენინგი გერმანელებისა მასზე არ დახარჯულა. რაც შეეხება ირლანდიელთა რაზმს, ჩვენ მუდამ მოვუწოდებდით ჩვენ თანამემამულეებს გერმანელებთან საბრძოლველადაო.

— —

„ფორვერცის“ ცნობით, ეხლა გერმანიაში ვრცელდება სახალხო სიმღერები, რომელშიაც გატარებულია ის აზრი, რომ კიტჩენერის დაღუპვა იყო გამოწვეული ღვთის სურვილით, რათა დაესაჯა ინგლისელებიო.

— —

ინგლისელებს გადაწყვეტილი აქვთ წყალქვეშა გვირაბი გაიყვანონ ინგლისსა და საფრანგეთს შუა რათა ამნაირად უფრო უხიფათო შეიქნეს საფრანგეთსა და ინგლისს შუა მიმოსვლა.

---

## ჩვენი ფოსტა.

**აქ. ეგრედ წოდებულ გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციას.**

პასუხის ღირსნი არა ხართ.

გადაიკითხეთ გაზ „სამშობლოს“ 382 ნუმერში დასტამბული ფელეტონი... იქნება თქვენი თავისა თქვენვე შეგრცხვეთ, თუ კი წაკითხულის აზრის გაგება შეგიძლიათ.

— —

## ნარევი.

კვერცხის ოჯაურ...

11 ივნისს ჯარის კაცის ცოლს გალილეველის მცხოვრებს (იზმაილის ...) ... პენკოს მოუხარშავს სამი კვერცხი. ორი ბავშვისათვის მიუცია შესაჭმელათ, ხოლო მესამე ოთახში დაუდევს ფანჯარაზე. ღამით წყალი მოსწყურებია და დასალევათ ოთახში გასულა. ოთახი განათებული ყოფილა კვერცხისაგან. ეს გარემოება მეზობლებისათვის შეუტყობინებია. მნახველებს კვერცხისათვის დიდის მოწიწებით თაყვანი უციათ. ადგილობრივ მღვდელს უნახავს კვერცხი ლაყეთ გამოუცხადებია და უთქვამს, რომ წამხდარი კვერცხი ფოსფორიულ სინათლეს გამოსცემს. ამიტომ მას უბრძანებია მისი დამტვრევა. მცხოვრებლები მღვდლის რჩევას არ დამორჩილებიან და ნება არ მიუციათ კვერცხის დამტვრევისა, მეორე დღეს მთელი მახლობელი სოფლელები წასულან კვერცხის სანახავათ.

---

რედაქტორი **ი. ცინცაძე**.
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**

---



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | 5 წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. | 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს | 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს | 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. | 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. | 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. | 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს. | — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. | 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. | 25 „ |

---

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

---

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომარჩინა სრული, სისადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი მერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)